

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

გადაწყვეტილება

2008 წლის ომის საქმეზე

საქართველო

რუსეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

ავტორი: ლაზარე ჯიბლაძე.

რედაქტორი: ნინო ტლაშაძე

გიორგი ტყებუჩავა.

შესავალი

2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ[1] გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე - **„საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“**[2], რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევების პრაქტიკაზე რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის საკითხებს აფასებს.

საქართველომ ევროსასამართლოს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საჩივრით 2008 წლის 11 აგვისტოს მიმართა. იმავე დღეს, საქართველომ ევროსასამართლოს სთხოვა დროებითი ღონისძიების გამოყენება, რათა რუსეთს თავი შეეკავებინა „ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისგან, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობის მდგომარეობას და, ჰუმანიტარული დერეფნის გავლით, საქართველოს საგანგებო ძალებს მიეცეს საშუალება, განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება (კონფლიქტის ზონაში) დარჩენილი დაშავებული სამოქალაქო მოსახლეობისთვის და ჯარისკაცებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით“.[3] ევროსასამართლომ საქართველოს მოთხოვნა მეორე დღესვე, 2008 წლის 12 აგვისტოს დააკმაყოფილა. 2009 წლის 6 თებერვალს კი, სახელმწიფომ ევროსასამართლოში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სრული საჩივარი შეიტანა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში საქართველო ამტკიცებდა, რომ რუსეთმა ომისა და შემდგომი ოკუპაციის დროს დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის[4] შემდეგი მუხლები: სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი); წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი); თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი); პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი); სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი); საკუთრების დაცვა (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი); განათლების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი); მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი).

აღნიშნული საქმე პრეცედენტული იყო თავად ევროსასამართლოსთვისაც, რადგან იგი პირველად იხილავდა ასეთ ფართომასშტაბიან საქმეს, რომელიც ეხება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს და ამ კონტექსტში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების საკითხს, რასაც, ცხადია, დიდი ზეგავლენა აქვს სასამართლოს მიერ 2021 წლის 21 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, გადაწყვეტილებით ევროსასამართლომ არ დაადგინა 2008 წლის კონფლიქტის აქტიურ ფაზაში (8-12 აგვისტო) რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლი და, შესაბამისად, მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრატერიტორიული იურისდიქციის (Extraterritorial jurisdiction (ETJ)) განხორციელება. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლომ არ იმსჯელა კონფლიქტის აქტიურ ფაზაში რუსეთის ფედერაციის

---

1 *შემდგომ ტექსტში - ევროსასამართლო.*

2 იხ.: CASE OF GEORGIA v. RUSSIA (II), GRAND CHAMBER, (Application no. 38263/08) JUDGMENT. https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22documentcollectionid2%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-207757%22].

3 იხ.: ECHR Grants Request for Interim Measures, Press release 581 (12.08.2008). http://hudoc.echr.coe.int/eng-press?i=003-2458412-2647173.

4 იხ.: European Convention on Human Rights. https://www.echr.coe.int/documents/convention_eng.pdf.

მიერ ჩადენილ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევებზე პასუხისმგებლობის საკითხზე და შეფასების მიღმა დატოვა იგი.

საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე **„საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“** საჩივარი ძირითადად დააკმაყოფილა და **კონფლიქტის აქტიური ფაზის** შემდგომ განვითარებულ მოვლენებში რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის დარღვევა თითქმის ყველა ძირითად მუხლში ცნო. ამ სახელმწიფოთაშორის დავაზე მიღებული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესია იმითაც, რომ იგი წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პირველ სამართლებრივ შეფასებას საერთაშორისო სასამართლოს მიერ, რითაც დადგინდა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით.

რა დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ?!

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოთაშორისი დავის საწარმოებლად, საქმეზე არსებითი განხილვის დაწყების შემდეგ – 2013 წლის 8 ოქტომბრიდან დღემდე შეისწავლა სხვადასხვა წყაროში არსებული ფართომასშტაბიანი, კომპლექსური და დიდი ოდენობის დოკუმენტი/მტკიცებულება. მათი ხარისხის შეფასების შედეგად შეირჩა და სხვადასხვა დროს ევროსასამართლოს საქართველოს მხრიდან წარედგინა 700-მდე მტკიცებულება. ამასთან, 2016 წლის 6-17 ივნისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ჯამში, 33 მოწმეს მოუსმინა. საქმეში არსებული მოწმეები გამოიძახეს როგორც საქართველოს და რუსეთის მხარეებმა, ისე სასამართლომ. ევროსასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე, გაითვალისწინა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ანგარიშები და საქმეში ჩართული ექსპერტების განცხადებები. **ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ:**

- **16 ხმით 1-ის წინააღმდეგ**, დაადგინა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ (Following the Ceasefire Agreement of 12 August 2008), ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქისა და ასევე რუსეთის მიერ ოკუპირებულ სხვა ტერიტორიებზე არსებობდა რუსეთის სახელმწიფოს იურისდიქცია კონვენციის გაგებით და, შესაბამისად, რუსეთს ეკისრება საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.
- **16 ხმით 1-ის წინააღმდეგ**, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა რუსეთისა და მის კონტროლს ქვეშ მყოფი ძალების მხრიდან ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლს (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლს (წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა), მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს - საკუთრების უფლება.
- **დიდმა პალატამ (Grand Chamber) ერთხმად დაადგინა,** რომ საქართველოს მოქალაქე სამოქალაქო პირები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ძალებმა ცხინვალში დაახლოებით 2008 წლის 10 და 27 აგვისტოს შორის დააკავეს, ექცეოდნენ რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ, ევროპული კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად.
- **დიდმა პალატამ (Grand Chamber) ერთხმად დაადგინა**, რომ არსებობდა მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) საწინააღმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა, 160

ქართველი სამოქალაქო პირის დაკავების პირობებთან მიმართებით. კერძოდ, მათ მიმართ განხორციელდა დამამცირებელი მოქმედებები, რომლებმაც გამოიწვიეს მათი ტანჯვა და, შესაბამისად, სასამართლომ ეს ქმედებები მიიჩნია არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად.

● **დიდმა პალატამ (Grand Chamber) ერთხმად დაადგინა**, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მოქალაქე სამოქალაქო პირების თვითნებური დაკავება ქმნიდა კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) საწინააღმდეგო ადმინისტრაციულ პრაქტიკას.

● **დიდმა პალატამ (Grand Chamber) ერთხმად დაადგინა**, რომ ცხინვალში, 2008 წლის 8-17 აგვისტოს შუალედში, სამხრეთ ოსური დაჯგუფებების მიერ ქართველი სამხედრო ტყვეების დაკავება ექცევა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისთვის.

● **16 ხმით 1-ის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა**, რომ ქართველი სამხედრო ტყვეების მიმართ განხორციელდა წამება და ისინი იყვნენ წამების მსხვერპლნი. შესაბამისად, რუსეთი ქმნიდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) საწინააღმდეგოდ.

● **16 ხმით 1-ის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა**, რომ საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ხელი შეუშალეს, დაბრუნებულიყვნენ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, მოექცნენ რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ.

● **16 ხმით 1-ის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა**, რომ რუსეთის ფედერაციამ შექმნა ადმინისტრაციული პრაქტიკა კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (მიმოსვლის თავისუფლება) საწინააღმდეგოდ, რომლის საფუძველზეც საქართველოს მოქალაქეებს აღარ შეეძლოთ საკუთარ სახლებში დაბრუნება. კერძოდ, ევროსასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ადასტურებდა, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება არ აძლევდა ეთნიკურ ქართველებს სახლებში დაბრუნების შესაძლებლობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული ტერიტორიების დე-ფაქტო ხელისუფლებას და რუსეთის ფედერაციას, როგორც ამ ტერიტორიებზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს, ევროპული კონვენციით ეკისრებოდა ვალდებულება, მოსახლეობისთვის საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება მიეცა.

● **16 ხმით 1-ის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა**, რომ რუსეთის ფედერაციამ არ ჩაატარა ეფექტიანი და ადეკვატური გამოძიება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ. აღნიშნული ეხება ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობას სიცოცხლის უფლების ჭრილში, რომელზეც სასამართლომ აღნიშნა, რომ რუსეთს ჰქონდა ვალდებულება, გამოეძიებინა არა მარტო საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ განვითარებული მოვლენები, არამედ ის მოვლენებიც, რაც საბრძოლო მოქმედებების აქტიური ფაზის დროს მოხდა.

● **განათლების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)** - დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები განათლების უფლების დარღვევის დადგენისთვის. აქედან გამომდინარე, სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა ცალკე ემსჯელა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაზე.

● **სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხი (კონვენციის 41-ე მუხლი)** - ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საკითხის განხილვა ერთი წლის ვადით გადადო და ამ ვადაში მხარეებს - საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას კომპენსაციის ირგვლივ მორიგების საშუალება მისცა.

● **ევროპული კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევა რუსეთის მიერ** - დიდმა პალატამ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციამ, როგორც მოპასუხე

სახელმწიფომ, სასამართლოს არ წარუდგინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მათ შორის - საბრძოლო ანგარიშები, რის გამოც მან ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება - საქმის გარემოებათა დასადგენად უზრუნველეყო სასამართლო ყველა აუცილებელი საშუალებით[5].

- **11 ხმით 6-ის წინააღმდეგ**, 2008 წლის 8-12 აგვისტოს შუალედში, როდესაც აქტიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა, სასამართლომ არ დაადგინა რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდა ეფექტური კონტროლი და, შესაბამისად, არ არსებობდა მისი იურისდიქცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1 მუხლის მიზნებისთვის და მას ამ პერიოდისთვის საერთაშორისო პასუხისმგებლობა არ დაეკისრა.

სახელმწიფოთაშორის დავაზე მიღებული გადაწყვეტილების ზეგავლენა ინდივიდუალურ სარჩელებზე (ე.წ. „სახელმძღვანელო გადაწყვეტილება“)

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს ინდივიდუალური საჩივრის კარგად განვითარებული პროცედურული ჩარჩო. ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, არასამთავრობო ორგანიზაციას ან ცალკეულ პირთა ჯგუფს, რომელთა მიმართაც, მათი მტკიცებით, დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები[6]. კონვენციის 34-ე მუხლი უზრუნველყოფს სასამართლოსთვის ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის უფლებას და მომჩივანებს საერთაშორისო დონეზე ანიჭებს სახელმწიფოს წინააღმდეგ სამართალწარმოების რეალურ შესაძლებლობას[7].

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა სახის ურთიერთმიმართება არსებობს სახელმწიფოთაშორის და ინდივიდუალურ საჩივრებს შორის მაშინ, როდესაც ორივე მათგანი ეხება ერთსა და იმავე საკითხს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ისინი არ გამორიცხავენ ერთმანეთს. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოთაშორის დავებს თან ახლავს დიდი რაოდენობის ინდივიდუალური საჩივრებიც, წარმოიშვა რეალობა, როდესაც ევროპული სასამართლო ყველა მათგანს კოორდინირებულად უნდა გაუმკლავდეს, რაც წარმოუდგენლად დიდ რესურსებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული საჭიროების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად შეიძლება დავასახელოთ 2018 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული **„კოპენჰაგენის დეკლარაცია“**, რომელიც აღიარებს „კონვენციის სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რასაც ქმნის ევროპაში მიმდინარე კონფლიქტები და კრიზისული სიტუაციები“ და რომლის რეკომენდაციაც იყო ინდივიდუალურ საჩივრებზე გადაწყვეტილების მიღებისგან თავის შეკავება „ვიდრე სახელმწიფოთაშორისი წარმოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საკითხები არ გადაწყდება სახელმწიფოთაშორის საქმეში.[8]

---

[5] იხ.: Judgment in the case concerning the armed conflict between Georgia and the Russian Federation in August 2008 and its consequences, ECHR 028 (2021) 21.01.2021.

[6] იხ.: European Convention on Human Rights. https://www.echr.coe.int/documents/convention_eng.pdf.

[7] იხ.: Alastair Mowbray, 'The European Convention on Human Rights', Mashood A. Baderin, Manisuli Ssenyonj (eds), International Human Rights Law: Six Decades after the UDHR and Beyond (Ashgate Publishing 2010) 271, 288.

[8] იხ.: Copenhagen Declaration on the Reform of the European Convention on Human Rights System, §45. [*The challenges posed to the Convention system by situations of conflict and crisis in Europe must also be acknowledged. In this regard, it is the*

შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით, როგორც ეს **„კოპენჰაგენის დეკლარაციითაა“** გათვალისწინებული, სახელმწიფოთაშორის დავაში მისაღებ გადაწყვეტილებას სასამართლო განიხილავს ე.წ. „სახელმძღვანელო გადაწყვეტილებად“. ხოლო მასში არსებული ზოგადი მიგნებები სასამართლოს გაუადვილებს იმ ინდივიდუალურ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებას, რომლებიც უკავშირდება ***„ერთსა და იმავე საკითხს“ ან „გამომდინარეობს ერთი და იმავე გარემოებებიდან“.***

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, შეტანილია ასეულობით ინდივიდუალური საჩივარი. შესაბამისად, რა თქმა უნდა, სახელმწიფოთაშორის დავაზე 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებას პირდაპირი ზეგავლენა ექნება ინდივიდუალურ საჩივრებზე. ამას მოწმობს ისიც, რომ ევროსასამართლო დაელოდა გადაწყვეტილებას სახელმწიფოთაშორის საქმეზე და სწორედ ამის შემდეგ დაიწყებს წარდგენილი ინდივიდუალური საჩივრების განხილვას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე იცავს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებული 137 ადამიანის უფლებებს. ცენტრს, ჯამში, 3 საჩივარი აქვს წარდგენილი, რომელიც აგვისტოს ომის დროს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სხვადასხვა უფლებების დარღვევას შეეხება. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვა სასამართლოს მიერ უახლოეს პერიოდში დაიწყება.

ECHR-ის გადაწყვეტილების ზეგავლენა ICC[9]-სა და ICJ[10]-ში 2008 წლის აგვისტოს ომის საქმის განხილვაზე

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო [International Criminal Court], ეს არის საერთაშორისო სასამართლო, რომელშიც, ფორმალური თვალსაზრისით, არ მიმდინარეობს დავა სახელწმიფოებს შორის, ანუ, განიხილავს არა ქვეყნებს შორის დავას, არამედ ადგენს კონფლიქტების/ომების დროს ჩადენილ დანაშაულებზე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ევროსასამართლოსაგან განსხვავებით, იგი იძიებს კონკრეტული ადამიანების მიერ ჩადენილ დანაშაულებს[11] და არა სახელმწიფოების მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ესენი შეიძლება იყვნენ: სამხედროები, პოლიტიკოსები[12], სამოქალაქო პირები - ნებისმიერი, ვინც შეიძლება კონფლიქტის/ომის დროს მონაწილეობა მიიღო კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში და განსაკუთრებით კი - ის პირები, ვინც გასცემდა ბრძანებებს/მითითებებს, რისი შედეგიც იყო შემდეგ დანაშაულები[13].

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, საერთაშორისო სისხლის სასამართლო იძიებს მთელ რიგ დანაშაულებს, მათ შორისა: მკვლელობა, მოსახლეობის იძულებით გადაადგილება, დევნა, სექსუალური ძალადობა, წამება, სამოქალაქო პირების დაკავება. აღნიშნული დანაშაულები წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ

Court's present practice, where an inter-State case is pending, that individual applications raising the same issues or deriving from the same underlying circumstances are, in principle and in so far as practicable, not decided before the overarching issues stemming from the inter-State proceedings have been determined in the inter-State case].

9 International Criminal Court [სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო].

10 International Court of Justice [მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო].

11 იხ.: რომის სტატუტის 25-ე მუხლი. https://www.icc-cpi.int/resource-library/documents/rs-eng.pdf.

12 იქვე: 28-ე მუხლი.

13 იქვე: 27-ე მუხლი.

დანაშაულებს[14]. იგი ასევე იძიებს ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა: მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა, განზრახ მკვლელობა, სამშვიდობოებზე განზრახ თავდასხმა, ქონების განადგურება და ძარცვა, რომელთაც ომის დანაშაულები ეწოდება. სასამართლოს მიერ განსაზღვრულია კონფლიქტში მონაწილე მხარეები: ქართული, რუსული და ოსური შეიარაღებული ძალები.

გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო [International Court of Justice] გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანოა, რომელსაც აქვს საკუთარი წესდება (სტატუტი). იგი ხელმოწერილ იქნა გაეროს წესდებასთან ერთად და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სასამართლო იხილავს მხოლოდ ისეთ საქმეებს, სადაც მხარეებად გაეროს წევრი ქვეყნები გამოდიან. სასამართლო იძლევა საკონსულტაციო დასკვნებს, თუ საამისოდ მიმართავს გაეროს გენერალური ასამბლეა ან გაეროს უშიშროების საბჭო, ან ამათგან პირველის ნებართვით რომელიმე სხვა ორგანო.

გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში, რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, სარჩელი საქართველომ 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა და რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლებების დახმარებით, ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციაში და რასიზმში დაადანაშაულა. სარჩელი აერთიანებდა არა მარტო 2008 წლის კონფლიქტის ფაქტებს, არამედ 1990 წლიდან 2008 წლამდე დაფიქსირებულ შემთხვევებს. რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. იგი შემოვიდა საქართველოში და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ინტერვენცია მოახდინა, რაც საერთაშორისო სამართლის დარღვევაა.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ **2011 წლის 1 აპრილს** დაადგინა, რომ „მას არ გააჩნია უფლებამოსილება, განიხილოს საქართველოს მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს შეტანილი სარჩელი“, რომელშიც საქართველო აცხადებდა, რომ რუსეთმა **,,რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ''** (CERD) 1965 წლის საერთაშორისო კონვენციით[15] აღებული ვალდებულებები, 1990 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე პერიოდში, სამ სხვადასხვა დროს დაარღვია, როდესაც მან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ინტერვენციები განახორციელა. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მართებულად მიიჩნია რუსეთის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს არ უცდია კონკრეტულად CERD–თან დაკავშირებული საკითხები რუსეთთან განეხილა და ასევე არ უცდია კონვენციის 22–ე მუხლით გათვალისწინებული დავის მოგვარების სხვა მექანიზმები გამოეყენებინა, სანამ ის პირდაპირ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიმართავდა.

საქმის განახლებისთვის აუცილებელია ახალაღმოჩენილი ფაქტი და შესაძლოა, ასეთ ფაქტად მიჩნეულ იქნას იმის დამტკიცება საქართველოს მხრიდან, რომ მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს. საქართველოს ჯერ აქვს დრო, რომ წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ახალი ფაქტები, 2021 წლის 1 აპრილამდე, გადაწვეტილების მიღებიდან 10 წლის განმავლობაში. ხოლო თუკი ფაქტების წარდგენა ამ ვადის გასვლის შემდეგ მოხდა, სასამართლო საქმეს არ განაახლებს.

2021 წლის 21 იანვრის სახელმწიფოთაშორის დავაში, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ადასტურებდა ადმინისტრაციული

---

14 იქვე: მე-7 მული.

15 იხ.: International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination. https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/cerd.aspx.

პრაქტიკის არსებობას ევროპული კონვენციის მე-2, მე-8 და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლების საწინააღმდეგოდ. კერძოდ, ევროსასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო პირების მკვლელობა, ქართულ სოფლებში სახლების გადაწვა და გაძარცვა ადმინისტრაციულ პრაქტიკას წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა მსგავსი ქმედებების განმეორებით ჩადენას და რუსეთის ოფიციალურ შემწყნარებლობას ამ აქტების მიმართ.

ევროსასამართლომ ასევე განმარტა, რომ მსხვერპლების მიმართ ჩადენილი ქმედებები, მათი სერიოზულობის გათვალისწინებით, კვალიფიცირდება როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და აღნიშნული პირები ამ ქმედებას დაექვემდებარნენ მათი ეთნიკურობის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა სიცოცხლის უფლების, წამების აკრძალვის, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის და საკუთრების უფლების დარღვევა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში ტერმინი **„ეთნიკური წმენდა“** გამოყენებული არ არის, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის ის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც ეთნიკური წმენდის კვალიფიკაციას განიხილავს, ზემოაღნიშნული დარღვევების შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ეთნიკური წმენდა, მათ შორის, ამ დარღვევების ადმინისტრაციული პრაქტიკიდან გამომდინარე.

თავად ეთნიკური წმენდის, როგორც საერთაშორისო დანაშაულის დადგენა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციაა. შესაბამისად, ECHR-ის გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ICC-ში მიმდინარე გამოძიებასა და შემდგომ, სასამართლო განხილვების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან, ევროსასამართლოს მიგნებები და შეფასებები, რომელიც ეფუძნება სასამართლოს მიერ მტკიცებულებების საფუძველზე, გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილ გარემოებებს, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარწმუნო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელსაც მტკიცებულებითი ხასიათი გააჩნია. რაც შეეხება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ), როგორც აღინიშნა, ეთნიკურ წმენდაზე საქართველოს შეტანილი ჰქონდა სარჩელი, მაგრამ სასამართლომ აღნიშნული დავა წარმოებაში არ მიიღო შესაბამისი პროცედურების დაუცველობის საფუძვლით. შესაბამისად, კითხვის ქვეშ დგას, რამდენად მიიღებს როგორც ახლად აღმოჩენილ გარემოებას/ფაქტს სასამართლო ECHR-ის გადაწყვეტილებაში გაკეთებულ მიგნებებსა და შეფასებებს. აქვე აღსანიშნია, რომ 21 იანვრის გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა 2008 წლის კონფლიქტის აქტიურ ფაზაში (8-12 აგვისტო) რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლი და შესაბამისად მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელება.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტია. სამართლებრივი თვალსაზრისით, პირველად მოხდა რუსეთის მიერ 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს რეგიონების (ყოფილი სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) ოკუპაციისა და იქ განხორციელებული ეთნიკური წმენდის საერთაშორისო სამართლებრივი დადასტურება, რამაც, შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს სხვა საერთაშორისო სასამართლოებში საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებზე და, ასევე, როგორც ე.წ. ,,სახელმძღვანელო გადაწყვეტილებამ - ევროსასამართლოში შეტანილ ინდივიდუალურ საჩივრებზე.

ევროსასამართლომ, 2008 წლის 12 აგვისტოდან, დაადგინა რუსეთის მიერ

ოკუპირებულ რეგიონებზე „ეფექტური კონტროლის“ განგრძობადი განხორციელება. სასამართლომ სხვადასხვა სტანდარტის გამოყენებით დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციას აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთზე ეფექტური კონტროლი გააჩნია და ექსტრატერიტორიულ იურისდიქციას ახორციელებს, რაც ნიშნავს იმას, რომ რუსეთის ფედერაცია სრულად პასუხისმგებელია აღნიშნულ ტერიტორიებზე მომხდარ, ევროპული კონვენციით დაცულ ადამიანის უფლებების დარღვევებზე.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევა იყო სისტემურად განმეორებადი და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს ამ დარღვევების მიმართ ჰქონდათ მკაფიოდ გამოხატული ოფიციალური შეწყნარების პოლიტიკა. აგრეთვე, სამოქალაქო პირების მიმართ ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევის ადმინისტრაციული პრაქტიკა მათი ეთნიკური ნიშნით შერჩევას ეფუძნებოდა. შესაბამისად, სამართლებრივად დადასტურდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა 2008 წლის ომის შემდეგ.

საბოლოო ჯამში, საქართველოს პირველად აქვს სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას ადასტურებს. შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი ბერკეტია საქართველოსათვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით კონფლიქტების მოწესრიგებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.